



ბრძანება:ბ16. 162302312

თარიღი:23/01/2023

ბორჯომის მუნიციპალიტეტის დასახლებებში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის მიზნით დასახლების საერთო კრების ჩატარებისა და კონსულტაციების ინიცირების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ და „ე.ი“ ქვეპუნქტების, 853 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „თ“ ქვეპუნქტების, 854 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-13 და მე-15 პუნქტების და „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის №654 დადგენილებით დამტკიცებული პროცედურების და კრიტერიუმების პირველი მუხლის მე-6 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-7 პუნქტის საფუძველზე

### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ე:

- 1.დამტკიცდეს, ბორჯომის მუნიციპალიტეტში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტის შერჩევის მიზნით დასახლებებში, რომლებშიც რეგისტრირებული ამომრჩევლების რაოდენობა შეადგენს არაუმეტეს 500 ამომრჩეველს, მოწვეულ იქნას დასახლებების საერთო კრებები, ხოლო დასახლებებში, რომლებშიც რეგისტრირებული ამომრჩევლების რაოდენობა შეადგენს 500-ზე მეტ ამომრჩეველს, გაიმართოს რესგიტრირებულ ამომრჩევლებთან კონსულტაციები ამ ბრძანების №1 და №2 დანართებით განსაზღვრულ თარიღებში.
2. თითოეულ დასახლებაში განსახორციელებელი პროექტისთვის ზღვრული საორიენტაციო თანხის ოდენობა განისაზღვროს ამ ბრძანების №1 და №2 დანართების მიხედვით.
3. ამომრჩევლებთან საერთო კრებების და კონსულტაციების ორგანიზება დაევალოთ ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლებს შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულებში.
4. ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და ზედამხედველობის სამსახურს და მერის წარმომადგენლებს შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულებში, დაევალოთ მოქალაქეებისგან საპროექტო

წინადადებების მიღება და მათი კონსულტირება, საპროექტო წინადადებების შემუშავების პროცესში.

5. მოქალაქეებისგან საპროექტო წინადადებების მიღება განხორციელდეს ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და ზედამხედველობის სამსახურში და მერის წარმომადგენლებთან, სამუშაო დღეებში, 09:00 - 18:00 სთ-მდე 2023 წლის 10 თებერვლამდე.

აგრეთვე, ელექტრონული ფოსტის გზით შემდეგ მისამართზე : borjomimunicipality@gmail.com.

6. დასახლებების საერთო კრების სხდომებისა და ამომრჩევლებთან კონსულტაციის დღის წესრიგი განისაზღვროს ერთი საკითხით: საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტის ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასახლებაში განსახორციელებელი დასაფინანსებელი პროექტების შერჩევა.

7. სოფლის მხარდაჭერის პროგრამის საკითხებზე მოსახლეობასთან ურთიერთობაზე და საპროექტო წინადადებების მიღებაზე უფლებამოსილ პირებად განისაზღვროს:

ა) გიორგი ტაბატაძე - ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის პირველი მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი - ტელ: 557 90 29 19, ელ.ფოსტა: giorgitabatadze19@gmail.com

ბ) პაატა პაქსაშვილი - ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი დაბა წალვერის ადმინისტრაციულ ერთეულში; ტელ: 599778631, ელ.ფოსტა: paatapaqsashvili2020@gmail.com

გ) არაიკ ანტონიანი - ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი სოფ. ბალანთის ადმინისტრაციულ ერთეულში; ტელ: 598 857 437, ელ.ფოსტა: [araik.19091989@gmail.com](mailto:araik.19091989@gmail.com)

დ) გურამ მაისურაძე - ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი სოფ. დვირის ადმინისტრაციულ ერთეულში; ტელ: 599 90 50 86, ელ.ფოსტა: maisuradzeguram@gmail.com

ე) ბესიკ ხალაძე - ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი სოფ. ტაძრისის ადმინისტრაციულ ერთეულში; ტელ: 551989315, ელ.ფოსტა: besokhaladze@gmail.com

ვ) ზურაბ ლომიძე - ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი სოფ. ტბის ადმინისტრაციულ ერთეულში; ტელ: 599 44 59 50, ელ.ფოსტა: [zlori120@gmail.com](mailto:zlori120@gmail.com)

ზ) ავთანდილ ცერცვაძე - ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი დაბა ახალდაბის ადმინისტრაციულ ერთეულში; ტელ: 591 407 635, ელ.ფოსტა: tsertsvadzea10@gmail.com

თ) ზაზა კურტანიძე - ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი სოფ. ყვიბისის ადმინისტრაციულ ერთეულში; ტელ: 595365335, ელ.ფოსტა: zazakurtanidze66@gmail.com

ი) ნიკოლოზ პავლიძის - ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი სოფ. ციხისჯვრის ადმინისტრაციულ ერთეულში; ტელ: 595 90 80 37, nikolozpavlovi2020@gmail.com

კ) რაშიტ ხაჩატურიანი - ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი

სოფ. ტაბაწყურის ადმინისტრაციულ ერთეულში; ტელ: 595 352 299,  
[khachaturyanrashit000@gmail.com](mailto:khachaturyanrashit000@gmail.com)

ლ) ქეთევან ლონდარიძე- ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი  
დაბა ბაკურიანის ადმინისტრაციულ ერთეულში, ტელ:597 918 819, ელ.ფოსტა:  
[qetinolondaridze@gmail.com](mailto:qetinolondaridze@gmail.com);

8. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში  
დაინტერესებული პირის მიერ ახალციხის რაიონულ სასამართლოში (ქ.  
ახალციხე, მებაღეშვილის ქ. N60 ა).

ოთარ არბოლიშვილი

ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური  
ელექტრონული ხელმოწერა/  
ელექტრონული შტამპი

